N 18887/10 18.07.2024

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,

ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

მოგახსენებთ, რომ თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსის 2024 წლის 08 ივლისის N17862/10 წერილის საფუძველზე მომზადდა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში 2024-2025 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ცალკეულ საგნებში მომზადების წლიური საფასურისა და მასწავლებელთა ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2024 წლის 09 ივლისის N205/02-01 ბრძანება.

აბიტურიენტებისთვის უფრო მოქნილი საგადასახადო პირობების შექმნის მიზნით, გთხოვთ აღნიშნული ბრძანების მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „ ბ) გადასახდელი თანხის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში აბიტურიენტს/წარმომადგენელს თანხის დასაფარად გაეგზავნოს შეტყობინება/გაფრთხილება და დამატებითი გადახდის ვადა განესაზღვროს დადგენილი ეტაპობრივი გადახდის ვადიდან არაუგვიანეს ორი (2) კვირის განმავლობაში. დამატებით დადგენილი ორ (2) კვირიანი ვადის ამოწურვის შემდგომ, სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია აბიტურიენტი ამორიცხოს აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსებიდან და შეუწყვიტოს მასთან დადებული ხელშეკრულება;“, ნაცვლად „ბ) გადასახდელი თანხის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში აბიტურიენტს/წარმომადგენელს თანხის დასაფარად გაეგზავნოს შეტყობინება/გაფრთხილება და დამატებითი გადახდის ვადა განესაზღვროს დადგენილი ეტაპობრივი გადახდის ვადიდან არაუგვიანეს ორი (2) კვირის განმავლობაში. დამატებით დადგენილი ორ (2) კვირიანი ვადის ამოწურვის შემდგომ, სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში აბიტურიენტი ამორიცხული იქნება აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსიდან და შეუწყდება ხელშეკრულება; “.
გთხოვთ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, დაგვავალოთ ზემოთმითითებული ცვლილების შეტანის თაობაზე შესაბამისი ბრძანების პროექტების მომზადება.

დანართი:

1. 09.07.2024 წლის N205/02-01 ბრძანება.

პატივისცემით,

გია მამულაშვილი

ცენტრის უფროსი
უწყვეტი განათლების ცენტრი